სალომე დვალიშვილი
დოქტორანტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Salome Dvalishvili
PhD student
Akaki Tsereteli State University
salome.dvalishvili5@atsu.edu.ge

ქართული და ამერიკული თოქშოუების ორგანიზების სტერეოტიპები
THE STEREOTYPES OF ORGANIZING GEORGIAN AND AMERICAN TALK SHOWS

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სტატია ეხება ქართულ და ამერიკულ პოლიტიკურ თოქშოუებში რამდენადაა დაცული ან დარღვეული სტრუქტურული სტერეოტიპები და რაში მდგომარეობს მათი ლინგვისტური თავისებურებები. ჩვენი კვლევის ობიექტია რამდენიმე ამერიკული პოლიტიკური თოქშოუ *Meet the Press, All in with Chris Hayes*, *The dailt show with Trevor Noah*. ქართული თოქშოუები *„გიორგი თარგამაძის ფორმულა“, “პოლიტმეტრი“, „სანაია“, „ღამის მთავარი“, „დროული კითხვები“* და *„რეაქცია“*.

კვლევაში გამოყენებულია შეპირისპირებით-აღწერითი მეთოდი, რის საფუძველზეც ვცდილობთ პასუხი გაეცეს კითხვებს: თუ რა მსგავსება და განსხვავება დგინდება ამერიკულ და ქართულ თოქშოუებში, როგორც სტილისტურ-სტრუქტურული, ასევე ლინგვისტური. ასევე რა მიმართვის ფორმები გამოიყენება ინგლისურენოვან და ქართულ თოქშოუში, რამდენად იდენტურია მისალმების ბლოკი და თოქშოუს გახსნის ფრაზები. რამდენად მიყვებიან გადაცემის წამყვანები და სტუმრები საკუთარი ქვეყნებისთვის დამახასიათებელ კულტურულ და მასმედიისთვის დამახასიათებელ სტერეოტიპებს. ხდება თუ არა ოპონენტების მიერ კონფლიქტის პროვოცირება და ერთმანეთის შეურაცხყოფა. დიალოგი უმეტესად კონსტრუქციულ რეჟიმში მიმდინარეობს თუ დესტრუქციულში.

თოქშოუს იმ ნაწილში სადაც დისკუსია მიმდინარეობს, ამერიკელები ერთმანეთსაც აკრიტიკებენ, მაგრამ საუბარში უფრო მეტად ინარჩუნებენ დიალოგურ მონაცვლეობას (TURN-TAKING) ანუ, იცავენ თავის რიგს. ქართველი პოლიტიკოსები კი ხშირად ერთროულად საუბრობენ. მათი სამომავლო გეგმების გარჩევა ადვილი არ არის, არ ერიდებიან ოპონენტების კრიტიკას, რაც ხშირად შეურაცხყოფაში გადადის და მათი გამონათქვამები სატელევიზიო სტუდიას ბრძოლის ველადაც აქცევს.

საკვანძო წიტყვები: რიგობითობა; თოქშოუ; სტერეოტიპები, ლინგვისტურ-სტილისტიკური-სტრუქტურული თავისებურებები.

Abstract

The presented article deals with the extent to which structural stereotypes are protected or violated in Georgian and American talk shows and what are their linguistic features. The object of our research are several American talk shows, including *„Meet the Press“, „All in with Chris Hayes“*, *„The dailt show with Trevor Noah“* and Georgian talk shows *"Giorgi Targamadze's Formula", “Politmeter”, “Sanaya”, "Timely Questions", „The highlight of the night”* and *"Reaction".*

The research uses the contrastive-descriptive method, on the basis of which we try to answer the questions: what similarities and differences are found in American and Georgian talk shows, both stylistically-structurally and linguistically. Also, what forms of address are used in English and Georgian talk shows? How identical are the greeting block and the opening phrases of the talk show? To what extent do the presenters and guests of the program follow the cultural and mass media stereotypes characteristic of their own countries? Are opponents provoking conflict and insulting each other? Is the dialogue mostly constructive or destructive?

In the part of the talk show where the discussion is taking place, the Americans criticize each other, but in the conversation, they maintain the turn-taking, they keep their turn. The Georgian politicians often speak at the same time. It is not easy to discern their future plans, they do not shy away from criticizing their opponents, which often turns into insults, and their statements turn the television studio into a battlefield.

Keywords: Alternation; Talk Show; Stereotypes, linguistic-stylistic-structural peculiarities.

21-ე საუკუნის პირველ დეკადაში ძალიან დაიძაბა სოციალურ-ეკონომიურ-პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრება ყველასთვის მთელ მსოფლიოში. მნიშვნელოვან მიმდინარე მოვლენებს, ბუნებრივია, ყველაზე აქტიურად განიხილავს მასმედიის სხვადასხვა საშუალებები. მათ შორის მოწინავე რიგებში დადგა, პოლიტიკური თოქშოუები. ცხადია გაიზარდა ინტერესი პოლიტიკისადმი და მაყურებელიც მოემატა პოლიტიკურ თოქშოუებს. ამან განაპირობა სწორედ, ჩვენი დაინტერესება, შეგვესწავლა მასმედიის ერთ-ერთი პოპულარული გადაცემა-თოქშოუ.

თოქშოუს თანამედროვე მედიადისკურსში დიდი ადგილი უჭირავს. მსგავსი პროგრამა ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე. მას მაყურებელი ისეთი ტერმინების გვერდით განიხილავს, როგორიცაა: დისკუსია, ინტერვიუ ან საუბარი.

მარტინეზის თანახმად, თოქშოუ არის ინტერპერსონალური ან ჯგუფური საუბარი ორ ადამიანს შორის. იგი ასიმეტრიულია, რაც განპირობებულია საუბრის სტრუქტურითა და ორგანიზებით. რაც შეეხება მომხსენებლებს, ისინი ძირითადად მოუმზადებლები არიან, რასაც მოდერატორზე ვერ ვიტყვით. მიუხედავად იმისა, რომ მოდერატორი სპეციალურად ემზადება გადაცემისთვის, იგი თოქშოუს დროს უბრალოდ წინასწარ მომზადებულ ტექსტს არ კითხულობს. თოქშოუს სტუმრები პროტესტის ნიშნად ხანდახან ადრე ტოვებენ გადაცემას. იშვიათად, თუმცა ამას წამყვანებიც აკეთებენ პირდაპირ ეთერში. ეს იმას მოწმობს, რომ რა მწვავე თემაზეც

არ უნდა მსჯელობდნენ ინტერაქტანტები, ისინი ადასტურებენ ერთმანეთთან თანამშრომლობის თავისუფალ ნებას (Martinez, 2000).

სხვადასხვა ქვეყანაში თოქშოუს შექმნისა და განვითარების ისტორია სხვადასხვაგვარად წარიმართა. ამერიკა იყო პირველი ქვეყანა, სადაც ეს ჟანრი იშვა. მიუსონის (Muson, 1993) თანახმად, იგი სათავეს იღებს მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან და დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელს სატელევიზიო სივრცეში. სწორედ ამერიკამ განავითარა, თოქშოუ როგორც სატელევიზიო ჟანრი და დაამკვიდრა მედია სივრცეში.

საქართველოში სულ უფრო იზრდება ინტერესი თოქშოუს ჟანრისადმი. ტელესივრცეში შემოდის ახალი გადაცემები. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამერიკული თოქშოუებისგან განსხვავებით საქართველოში ამ ტიპის გადაცემას განვითარების გარკვეული ეტაპები აქვს გასავლელი.

თანამედროვე ცხოვრება წარმოუდგენელია პოლიტიკის გარეშე. თითოეული ჩვენგანი მეტ-ნაკლებად ჩართული ვართ პოლიტიკაში, იქნება ეს არჩევნებში მონაწილეობა, ახალი ამბების მოსმენა თუ ზოგადად ამა თუ იმ პოლიტიკოსის გადაწყვეტილებების განხილვა. ამიტომ სულ უფრო იზრდება ინტერესი პოლიტიკური დისკურსისადმი. ეს ასევე იმით აიხსნება, რომ პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს ისეთ მოვლენას, რომელსაც საზოგადოებაში გაცილებით დიდი ხვედრითი წილი უჭირავს, ვიდრე დისკურსის სხვა სახეებს.

როდესაც საქმე თოქშოუებს ეხება, ძნელია ისაუბრო სტერეოტიპებზე, რადგან მათ არსებობის დიდხნიანი გამოცდილება არ გააჩნიათ, განსაკუთრებით კი იმ სახით რა სახითაც დღეს წარმოგვიდგებიან, მით უმეტეს ქართულ ტელესივრცეში.

შევეცადეთ ერთმანეთისთვის შეგვედარებინა ქართული და ამერიკული პოლიტიკური თოქშოუები. პირველ რიგში ყურადღება მივაქციეთ ამ თოქშოუების სტრუქტურულ მსგავსება-განსხვავებას. განვიხილეთ 2022 წლის ნოემბრის თვეში ეთერში გასული ოცი ამერიკული და ქართული თოქშოუ და მოვახდინეთ მათი ლინგვისტური და სტრუქტურული ანალიზი.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია თოქშოუების ქუდისა და გაფორმების სტილი, რომელიც იდენტურია ორივე ქვეყნის გადაცემებში: *Meet the Press, All in with Chris Hayes პოლიტმეტრი, გიორგი თარგამაძის ფორმულა.* თოქშოუების ინტრო არის დასამახსოვრებელი ვიზუალური თუ აუდიო ეფექტებიდან გამომდინარე.

უმეტესი შოუს სათაურში, თუ წამყვანი გადაცემის ავტორიცაა, მისი სახელი არის *მოხსენიებული: Justice with Jeanine, The daily show with Travor Noah , The Colbert Report, Real Time with Bill Maher, გიორგი თარგამაძის ფორმულა, ინგა გრიგოლია რეაქცია, „ღამის მთავარი“ ეკა კვესიტაძესთან.*

შეინიშნება მსგავსება სტუდიის გაფორმებაშიც. გადაცემებში : *The daily Show with Travor Noach, All in with Chris Hayes, გიორგი თარგამაძის ფორმულაში,* ისევე როგორც *პოლიტმეტრში* და თითქმის ყველა ქართულ პოლიტიკურ თოქშოუში, სტუმრები გადანაწილებულნი არიან წამყვანის მარჯვნივ და მარცხნივ ოვალურ მაგიდასთან, რათა ყველა ხედავდეს ერთმანეთს და უკეთ წარიმართოს დისკუსია. სტუდიაში ასევე არის ეკრანი და სივრცე დამსწრე აუდიტორიისთვის. ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებელი საერთოა როგორც ამერიკული ასევე ქართული თოქშოუებისთვის და სავარაუდოდ ყველა სხვა ქვეყნის გადაცემებისთვის, რადგან თოქშოუ ჩაისახა და

განვითარდა ამერიკაში, სხვა ქვეყნებმა კი მზა მოდელის კოპირება მოახდინეს, მხოლოდ მცირედი განსხვავებებით. ჩამოთვლილ სტერეოტიპებს, როგორებიცაა სტუდიის განლაგების იდენტურობა, წამყვანის სახელის თოქშოუს სათაურში ფიგურირება და გადაცემებში დასამახსოვრებელი, ხმაურიანი ინტროს გამოყენება, ამ შემთხვევაში ვერც ერთი ქვეყნის შოუ გაექცა.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ გადაცემის დასაწყისს, იმას თუ როგორი გამხსნელი სიგნალები აქვთ შოუების წამყვანებს და რა სტრუქტურას ემორჩილება ქართული და ამერიკული თოქშოუ.

გადაცემის *All in with Chris Hayes* დასაწყისში წამყვანი პოლიტიკოსების იმდღევანდელი განცხადებების მოკლე ვიდეო ნაწყვეტებს აჩვენებს და თან ურთავს კომენტარებს:

„Merric Garland appoints a war crimes prosecutor to lead the Trump investigations."

„მერიკ გარლანდი, ტრამპის გამოძიების ხელმძღვანელად, ომის დანაშაულებების პროკურორს ნიშნავს".

მომდევნო ნაწყვეტის ჩვენების შემდეგ კი გვისახელებს მოწვეულ სტუმრებს:

„Tonight Chuck Rosenberg, Carol Lamb and Congressman Jimmy Raskin on why now? And what it means?"

„ამ საღამოს, ჩაკ როზენბერგი, კაროლ ლემბი და კონგრესმენი ჯიმი რასკინი ისაუბრებენ თუ რატომ ხდება ეს ახლა და რას ნიშნავს ეს ."

მაქსიმუმ ერთი წუთის შემდგე კი ის ესალმება მაყურებელს:

"Good evening from New York. I'm Chris Hayes."

„საღამო მშვიდობისა ნიუ იორკიდან. მე კრის ჰეისი ვარ."

იწყებს ოთხ წუთიან მონოლოგს, აანალიზებს იმდროინდელ აქტუალურ თემებს და შემდეგ იწყებს სტუმრებთან საუბარს.

ქართულ თოქშოუში „პოლიტმეტრი" წამყვანი ნინო ჟიჟილაშვილი გადაცემის დაწყებისთანავე ესალმება და წარუდგენს თავს მაყურებელს:

„საღამო მშვიდობისა, ეთერშია „პოლიტმეტრი". მე ვარ ჟურნალისტი ნინო ჟიჟილაშვილი."

ამერიკული ანალოგის მსგავსად ისიც აკეთებს იმ თემის მოკლე მონახაზს რასაც მოგვიანებით გადაცემაში გაშლის. შეიძლება ეს ანალიზი ჩაითვალოს მის მონოლოგად, რის შემდეგაც წამყვანი სტუმარს იწვევს სტუდიაში და იწყებს მასთან საუბარს.

თოქშოუში *„საჯარო პოლიტიკა"*, წამყვანი ეკა მიშველაძე მაყურებელს გადაცემის დაწყებისთანავე ესალმება:

„საღამო მშვიდობის, ეს „საჯარო პოლიტიკაა" რომელსაც ყოველ ორშაბათს და ოთხშაბათს, მე ჟურნალისტი ეკა მიშველაძე წარმოგიდგენთ."

ის საუბრობს გადაცემის იმდღევანდელ თემაზე და რვა წუთიანი მონოლოგის შემდეგ წარადგენს სტუმრებს და იწყებს მათთან დიალოგს:

„გიგა ბოკერია იქნება ჩვენი სტუმარი და პეტრე ცისკარიშვილი. დასკვნით ნაწილში გიორგი ბარამიძე შემოგვიერთდება."

გადაცემის გახსნისა და მისალმების ბლოკში შეინიშნება მცირედი განსხვავებები. ფიქსირდება გადაცემის გახსნის ელემენტების თანმიმდევრობის გადაადგილება ან გამოტოვება. ქართველი წამყვანების მონოლოგი ოდნავ უფრო ხანგრძლივია და ისინი არ სვამენ გადაცემაში ნაწყვე-

ტებს პოლიტიკოსების ციტატებიდან, მხოლოდ უხმო კადრებად უშვებენ საკუთარი ანალიზის ფონზე. ორივე ენოვან თოქშოუებში შოუს გახსნის სიგნალად გამოიყენება ვიზუალური სიგნალი, როგორიცაა ინტრო. აღსანიშნავია, რომ გადაცემების ეთერში გასვლის დრო და ქრონომეტრაჟი იდენტურია.

კიდევ ერთი სტერეოტიპი რომელიც წარმატებით ირღვევა ქართულ თოქშოუებში არის, პოლიტიკური შოუების მასკულინურობა, რაც უმეტესად მამაკაცი წამყვანის არსებობაში გამოიხატება. ქართულ სატელევიზიო სივრცეში ამჟამად და წარსულშიც, უამრავი ანალიტიკური თუ პოლიტიკური გადაცემა გადის და გადიოდა, რომელთა წამყვანები ქალები არიან. ისინი მამაკაც წამყვანებზე არანაკლებ წარმატებით ართმევდნენ თავს ამ ტიპის გადაცემის ხელმძღვანელობას, ახერხებდნენ დაპირისპირებული მხარეების მართვას და დიალოგის კონსტრუქციულ რეჟიმში წარმართვას. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი თოქშოუები:

- *ნინო ჟიჟილაშვილის „პოლიტმეტრი“*
- *ინგა გრიგოლიას „რეაქცია“*
- *ეკა კვესიტაძის „ღამის მთავარი“*
- *ეკა მიშველაძის „საჯარო პოლიტიკა“*
- *ეკა ხოფერიას „ღამის კურიერი“*
- *ეკა ბერიძის „მთავარი კითხვა”* და სხვა.

რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, ქართულისგან განსხვავებით ამერიკულ თოქ შოუებს, განსაკუთრებით კი პოლიტიკურს, უმეტესად მამაკაცი წამყვანები ჰყავთ:

- *All in with Chris Hayes*
- *Meet the Press*
- *The dailt show with Trevor Noah*
- *The Colbert Report*

მიუხედავად მისალმების და ქრონომეტრაჟის ნაწილში მსგავსებისა, პოლიტიკური შოუები ყოველთვის არ არის ერთნაირად სტრუქტურირებული: მათი წამყვანები ხშირად იყენებენ განსხვავებულ სტილს თავიანთი სტუმრებისათვის კითხვების დასმისას და საკამათო საკითხების განხილვისას. შევეცდებით გაჩვენოთ თუ როგორ მოქმედებს ამ თოქშოუების თავისებურებები და განსაკუთრებით წამყვანის მიერ შერჩეული პოზიცია, გადაცემის მიმდინარეობაზე.

თოქშოუს ფორმატების ზრდამ და შესაბამისმა ცვლილებებმა თოქშოუს წამყვანები გახადეს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურები საზოგადოებაში, რაც განასხვავებს მათ მიდგომას გადაცემის წაყვანის მიმართ.

მსგავსი ტიპის გადაცემების წამყვანების შესახებ არსებობს სტერეოტიპული მოსაზრება, რომ ისინი სტანდარტულად, კითხვების დასმით უნდა შემოიფარგლონ. მაგრამ დღეისათვის წამყვანების როლი და მნიშვნელობა საკმაოდ გაზრდილია, და კლასიკური კორესპონდენტის გარდა მათ დამატებითი ფუნქციები შეიძინეს. წამყვანები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკურ თოქშოუებში. ისინი აწყობენ და წარმართავენ სადისკუსიო სივრცეებს და, შესაბამისად, მოქმედებენ როგორც ინფორმაციის გამტარები ან ინფორმაციის გაცვლის ხელშემწყობები. წამყვანები მომზადებულნი არიან, რათა წაახალისონ ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო, მოახდინონ

ფონური ინფორმაციის წარდგენა, მოითხოვონ განმარტებები და მისცნენ სტუმრებს დისკუსიის გაგრძელების საშუალება.

თოქშოუებში წამყვანების როლიდან, შესრულებული სამუშაოდან, კითხვების დასმის თუ პროცესის წარმართვიდან გამომდინარე, გამოიკვეთა მათი რამდენიმე ტიპი:

- წამყვანი - კორესპონდენტი
- წამყვანი - იუმორისტი
- წამყვანი - მებრძოლი (Vraga & others, 2012)

უნდა აღინიშნოს რომ აშშ-ს თოქშოუების ეს მოდელები თუ ამერიკული ახალი ამბების ფორმატები ექსპორტირებულია სხვადასხვა ქვეყანაში. შესაბამისად მსგავსი შოუების ანალოგები მოიპოვება ქართულ ტელესივრცეშიც.

ჟურნალისტებს, რომლებიც მასპინძლობენ მედიაში გამართულ დისკუსიებს, აქვთ პასუხისმგებლობა წაახალისონ საჯარო დებატები და პარალელურად იმოქმედონ სამართლიანად. აქედან გამომდინარე წამყვანი ცდილობს რომ სტუმრებს თანაბარი დრო მიეცეთ აზრის გამოსახატად, ის განმარტავს სტუმრების პოზიციას და ცდილობს დისკუსიის გაგრძელებას. კვალიფიციური ჟურნალისტი ცდილობს დებატები გააშუქოს პოზიციების გამეორებით. ბოლო წლებში გადაცემის წამყვანები უფრო გამორჩეულები გახდნენ. განსაკუთრებით არჩევნების მიმდინარეობისას, თოქშოუებში წამყვანები რომელთაც კორესპონდენტის ფუნქციები აქვთ, ფორმირდებიან დისკუსიების ხელშემწყობ წამყვანებად. აღნიშნული ტიპის წამყვანებად გვევლინებიან კრის ჰეისი *All in with Chris Hayes-დან* *და* ვახო სანაია *„სანაია“*-დან.

წამყვანი - კორესპონდენტი ყურადღებას ამახვილებს სტუმრებისთვის კითხვების დასმაზე, რათა ხელი შეუწყოს ინფორმაციის გაცვლას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მასპინძელი იკვლევს დამატებით ინფორმაციას და სთავაზობს სტუმრებს პოზიციების გარკვევას, ის არ აკრიტიკებს სტუმრების პასუხებს.

გადაცემაში *Meet the Press*, წამყვანი ჩაკ ტოდი მოწვეულ სტუმარს ყოფილ ვიცე პრეზიდენტს მაიკ პენსს, საუბრისას უსვამს შემდეგ კითხვას:

“Look, you want the public to try to split this. Are you concerned his (Trump's) behavior post-election, damaged the republican party? and 2022 is sort of the evidence”

„აი, თქვენ გსურთ რომ საზოგადოება მოახერხოს ამის გამიჯვნა. გაწუხებთ მისი არჩევნების შემდგომი საქციელი, რამაც დააზიანა რესპუბლიკური პარტია? და 2022 წელი არის ამის ერთგვარი მტკიცებულება.”

გიორგი სანაია გადაცემაში *„სანაია“* სტუმართან, „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეობის კანდიდატთან, გიორგი მუმლაძესთან შემდეგ დიალოგს მართავს:

სანაია: ვინა რის ეს მენეჯმენტი, ვის გულისხმობთ, იქ ხომ პერსონები არიან მაგალითად, მელიას მიმართ თქვენი დამოკიდებულება ვიცით ყველამ, კიდევ ვინ არის ის ხალხი, ვინც არ უნდა იყოს წინა რიგებში?

სანაიას კითხვებში იკითხება წამყვანის სურვილი რომ სტუმარმა თემა გაშალოს, მეტი ინფორმაცია მიაწოდოს აუდიტორიას და მოხდეს ინფორმაციის გაცვლა.

მნიშვნელოვანია პოლიტიკური იუმორის და სატირის ეფექტებს შესწავლა მედიაში. კომედიური პოლიტიკური გადაცემები შესაძლოა მიმზიდველი იყოს ნაწილობრივ იმის გამო, რომ იუმორი გავლენას ახდენს ხალხის ყურადღების გადატანის გზით დაძაბულობის შემცირებაზე . ასეთ თოქშოუებში წამყვანებს აქვთ საშუალება დასვან მახვილგონივრული კითხვები და შეინარჩუნონ ნაკლებად სტრესული ატმოსფერო. უმორი მაყურებელს კარგ განწყობაზე აყენებს და სწორედ ამ გზით ახერხებენ პოლიტიკოსები მათი მოსაწყენი მესიჯების ამომრჩევლამდე მიტანას.

მაგალითად ამერიკული *„The daily show with Travor Noah“* და *„Real Time with Bill Maher“-ის* წამყვენები გვთავაზობენ იუმორის გამოყენებას პოლიტიკის განხილვისას. ამ შოუების ანალოგია *„ილო ბეროშვილის ღამის შოუ“* და *„ვანოს's Show". „ვასმედია“* და *„The Colbert Report“,* იყენებენ სატირას პოლიტიკოსების კრიტიკისთვის.

იუმორისტი წამყვანი აჩვენებს თვითკრიტიკას, ხუმრობს სტუმრების პოზიციებზე ან ასუსტებს მათ გამონათქვამებს ხუმრობით. მაგალითად, თოქშოუში *The daily show with Travor Noah* წამყვანი სენატორ რაფაელ ვარნოკს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„In your campaign ads in Georgia, you've gone out of your way to talk about Republicans who you have worked with, which to many people would seem like suicide. You say, I've worked with Ted Cruz, I've worked with Marco Rubio. Now most people don't even admit that they know Ted Cruz."

„ჯორჯიის შტატში თქვენი კამპანიის რეკლამებში, თქვენ არ გაექეცით რესპუბლიკელებზე საუბარს, რომლებთანაც გიმუშავიათ, რისი თქმაც ბევრისთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. თქვენ ამბობთ, „მე მიმუშავია ტედ კრუზთან, ვმუშაობდი მარკო რუბიოსთან“. ახლა ადამიანების უმეტესობა არც კი აღიარებს, რომ ტედ კრუზს იცნობს."

„ილო ბეროშვილის ღამის შოუ“-ში წამყვანი, პოლიტიკური პარტია „გირჩის“ თავმჯდომარეს, ზურა ჯაფარიძეს ეუბნება:

„ (შენზე) ვფიქრობდი მოვიწვიო თუ არა, ცოტა ისეთი ტიპია, რა იცი რა მომენტში დაგუგლავს. ჩემი წარსული არ იგუგლება. თანაც, მე ძმა არ მყავს, ჩემზე ვერაფერს ვერ დაგუგლავ.“

ამ რეპლიკით წამყვანი ჯაფარიძეს ახსენებს მის ქმედებას ერთ ერთ გადაცემაში, როდესაც ის იქაურ წამყვანს დაუპირისპირდა და საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად გუგლი გამოიყენა.

მედიის შინაარსისა და სტილის ცვლილებები არ შემოიფარგლება იუმორისტული წამყვანების გაჩენით. წამყვანის კიდევ ერთი ფუნქცია არის კონფლიქტის დებატების სახით წარმართვა. აგრესიულ ინტერვიუებს დიდი ხანია მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საინფორმაციო გამოშვებებში.

მებრძოლმა წამყვანმა შეითავსა უფრო მეტი რამ, რადგან სტრუქტურულმა, და ეკონომიკურმა ცვლილებებმა წაშალა საზღვრები პოლიტიკურ სიახლეებსა და გართობას შორის. ამის შესაბამისად, მკვლევრებმა განაცხადეს, რომ უნდა მოხდეს სტუმრებთან ინტერვიუების ტრადიციული პრაქტიკიდან უფრო საბრძოლო ფორმებზე გადასვლა. შედეგად, მეცნიერები, როგორებიც არიან კლეიმანი და მისი კოლეგები, ამტკიცებენ, რომ ჟურნალისტური სტატიკური მოდელები არაადეკვატურია ჟურნალისტური პრაქტიკის ამჟამინდელი მდგომარეობის აღსაწერად, რამაც გამოიწვია წამყვანების უფრო აგრესიული განცხადებების ზრდა თოქშოუს ფორმატებში

(Clayman & Heritage, 2002). მსგავსი ტიპის წამყვანებად გვევლინებიან თოქშოუებში *„მთავარი აქცენტები ნიკა გვარამიასთან ერთად“, Meet the Press* და ა.შ.

წამყვანი - მებრძოლი სვამს კითხვებს მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად ან სტუმრების პრეტენზიების გასაგებად. ის იყენებს აგრესიულ სტილს და აკრიტიკებს სტუმრების პოზიციას:

„Meet the press“ წამყვანი ჩაკ ტოდი სენატორს, რიკ სკოტთან შემდეგი სახის დიალოგს მართავს:

Todd: You've not been shy with your believe that Republicans are going to have fifty – two seats. Can you get fifty-two senat seats without Pennsylvania?

Scott: We're going to get fifty-two plus. We're going to win Pennsylvania… I think we have really good shot in Arizona, New Hampshire, Washington and California, may be even a shot in Connecticut.

Todd: Let me ask you about Arizona and New Hampshire. You didn't put them in your win category yet, you put them in you "think" you have a shot.

ტოდი: თქვენ არ დაგიმორცხვიათ და თქვით რომ გწამდათ იმის, რომ რესპუბლიკელებს ექნებათ ორმოცდათორმეტი ადგილი. შეგიძლიათ მიიღოთ ორმოცდათორმეტი სენატის ადგილი პენსილვანიის შტატის მოგების გარეშე?

სკოტი: ჩვენ მივიღებთ ორმოცდათორმეტზე მეტ ადგილს. ჩვენ ვაპირებთ პენსილვანიის მოგებას... მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ნამდვილად კარგი შანსები გვაქვს არიზონაში, ნიუ ჰემფშირში, ვაშინგტონსა და კალიფორნიაში, შესაძლოა თუნდაც კონექტიკუტში.

ტოდი: ნება მომეცით გკითხოთ არიზონასა და ნიუ ჰემფშირზე. თქვენ ჯერ არ მიაკუთვნეთ ეს შტატები მოსაგებთა სიას. თქვენ თქვით რომ „ფიქრობთ“, რომ თქვენ იქ მოიგებთ.

წამყვანის დასმულ კითხვებში ფარულად იკითხება მისი მოსაზრება, რომ პარტია რომელსაც სტუმარი წარმოადგენს ვერ მოიგებს არჩევნებს პენსილვანიის შტატში. ის ასევე უსვამს ხაზს სტუმრის მიერ გამოთქმულ ვარაუდს რომ შესაძლოა გაიმარჯვონ არიზონასა და ნიუ ჰემფშირში. აპელირებს იმაზე რომ ამ შტატების მოგებაში თავად სკოტს ეპარება ეჭვი.

ნინო ჟიჟილაშვილი საკუთარ გადაცემაში *„პოლიტმეტრი“*, მოწვეულ სტუმარს, გია ბარამიძეს ეკითხება:

„მაგრამ იქ დამთავრდა განცხადება ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით, იმიტომ რომ არ გაგრძელებულა, არც მოქმედებები ყოფილა ამის აღსასრულებლად, არც ნაბიჯები გადადგმულა, ჩვენ ვერ ვხედავთ ყოველ შემთხვევაში ამას.“

ამ კითხვაში ჩანს წამყვანის მკაცრი პოზიცია, რომელიც სტუმრისგან მეტ მკაფიოობას და ახსნა -განმარტებას ითხოვს.

ამერიკული თოქშოუებისგან განსხვავებით, ქართველ პოლიტიკოსებს და წამყვანებს ზოგჯერ უჭირთ თავშეკავება და მათი საუბარი ეთიკის ჩარჩოებს სცდება. კითხვებს აღიქვამენ პირად შეურაცხყოფად, ნაკლებ თავაზიანები ხდებიან და „თქვენ“-ობით დაწყებული საუბარი, „შენ“-ობითში გადადის. სწორედ მსგავს შემთხვევებში იჩანს თავს კულტუროლოგიური განსხვავებები, თუნდაც ის რომ ქართველების ჩარჩოში მოქცევა შეუძლებელი, ისინი მუდამ საკუთარი პოზიციის დაცვაზე არიან გადასული და ამისთვის არ ერიდებიან ოპონენტის ან თუნდაც წამყვანის შეურაცხყოფას.

ამის მაგალითია ეკა კვესიტაძის თოქშოუში *„ღამის მთავარი“*, ნიკა მელიას სტუმრობა. ჟურნალისტისა და ნაციონალური მოძრაობის ლიდერის საუბარი, მწვავე დაპირისპირებაში გადაიზარდა:

კვესიტაძე: პარტია აკეთებს საკმარისს რომ თქვენს პოლიტპატიმრებს გვერდით დაუდგეს? ეს პრეტენზიაც იყო თქვენს მიმართ.

მელია: ისე მიგყავთ საუბარი ეკა, თითქოს რომელიღაცა ეტაპზე ან თავგანწირვა დააკლო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ან თავდადება. იყო ღალატი...

კვესიტაძე: ვინ გიღალატათ?

მელია: არ იცით? სხვათა შორის თქვენც მომიწოდებდით „გეყოფა ციხეში ყოფნა, გამოდით გარეთ“-ო.

კვესიტაძე: კი, იმიტომ რომ როცა თავის დროზე უნდა მოგეწერათ ხელი, შარლ მიშელი იყო ჩამოსული... მერე რატომ მოაწერეთ ხელი? რატომ შეხვედით პარლამენტში? ეხლა პარლამენტიდან რატომ აღარ გამოდიხართ?

მელია: გთხოვთ დამასრულებინოთ

კვესიტაძე: რას ნიშნავს დაგასრულებინოთ?

ცხარე დისკუსიის შემდეგ, რომელიც მთელი გადაცემის განმავლობაში მიმდინარეობდა, ტემპერატურა მაინც არ იწევს:

კვესიტაძე: თქვენი ტონალობა არის თქვენი პრობლემა... ღრმად არასერიოზულია ის, რომ ვადამდელ არჩევნებს აცხადებთ და შემდეგ არაფერს აკეთებთ ამისთვის... ბატონო ნიკა, ძალიან სამწუხაროა რომ კითხვების დასმას აღიქვამთ შეურაცხყოფად. ეს არის კითხვა. ამას აკეთებთ ოპოზიციაში და წარმომიდგენია რას გააკეთებთ ხელისუფლებაში, როდესაც დღეს ჩვენს კითხვებზე ხართ აგრესიულად განწყობილი.

გარდა წამყვანსა და სტუმარს შორის დაპირისპირებისა, ქართულ ტელე და ინტერნეტ სივრცეში, პოლიტიკოსების თავშეუკავებლობის უამრავი მაგალითი გვაქვს. მთავარი განმასხვავებელი ქართულ და ამერიკულ დებატებს შორის არის ის, რომ ნებისმიერ მწვავე საკითხზე საუბრისას ამერიკულ თოქშოუში დაცულია რიგითობა, რასაც წამყვანი მკაცრად აკონტროლებს, ქართულ გადაცემებში კი სწორედ პოლიტიკური კულტურის არ ქონიდან და აგრესიული ბუნებიდან გამომდინარე, მსგავსი შემთხვევების თავიდან არიდება ვერ ხერხდება.

გადაცემაში *„დროული კითხვები“* ნაციონალური მოძრაობის წევრი ნონა მამულაშვილი, პარლამენტარ ფრიდონ ინჯიას უპირისპირდება. ის ოპონენტს აზრის გამოთქმის საშუალებას არ აძლევს, მასთან ერთად უნისონში საუბრობს და არც მის დადანაშაულებას ერიდება:

მამულაშვილი: ლუსტრაციის კანონიდან დავიწყოთ. თქვენ საერთოდ, პოლიტიკაში არ უნდა იყოთ.

ინჯია: რატომ ვითომ?

მამულაშვილი: იმიტომ რომ ძალიან დიდი დანაშაული გაქვთ ჩადენილი და ბიუჯეტიდან ძალიან დიდი თანხები გაქვთ მოპარული.

ინჯია: მსგავსი არ ყოფილა

მამულაშვილი: როგორ არ ყოფილა. თქვენ ხართ ერთ ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი პარლამენტში, რომელსაც მოპარული ფული აქვს.

ინჯია: არაფერი მსგავსი. მე სახელმწიფო ბიუჯეტთან არ მქონია საქმე.

შეერთებული შტატების სენატორის კანდიდატებს შორის დებატებისას გადაცემაში „*Granite state Debate*“ ერთ ერთი კანდიდატი, დონ ბოლდუკი ამერიკაში იარაღის შემოდინებაზე ამბობს:

“This is a problem that Biden administration and Meggie Hassan has created because of bad policy.”

“ეს არის პრობლემა, რომელიც ცუდი პოლიტიკის შედეგად შექმნეს ბაიდენის ადმინისტრაციამ და მეგი ჰასანმა.“

მეგი ჰასანი ოპონენტის ბრალდებაზე აუღელვებლად და გაწონასწორებულად პასუხობს. თავს კი არ ესხმის მას, არამედ იწყებს ახსნას თუ რა გააკეთა ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად:

“That’s why I’ve been advocating for much stronger security at our border, including personnel, including advanced technology. I stood with president Trump, as he sighned a bill law that gave our border patrol a better technology.”

„სწორედ ამიტომ (პრობლემის ასარიდებლად) ვუჭერდი მხარს ბევრად უფრო ძლიერ უსაფრთხოებას, მათ შორის პერსონალს და მოწინავე ტექნოლოგიებს ჩვენს საზღვარზე. მე ვიდექი პრეზიდენტ ტრამპთან, როდესაც მან ხელი მოაწერა კანონპროექტს, რომელიც ჩვენს სასაზღვრო პატრულს უკეთესი ტექნოლოგიით მოამარაგებდა.“

ისინი მონაცვლეობით პასუხობენ ბრალდებებს და წარადგენენ საკუთარ პროგრამას.

როგორც ვხედავთ ამერიკულ თოქშოუშიც მწვავე დებატები მიმდინარეობს, თუმცა პოლიტიკოსები და წამყვანები უფრო მეტად კორექტულები არიან, ვიდრე ამ გადაცემების ქართულ ანალოგებში.

ემპიურიულ მასალაზე დაკვირვების და ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ

- ქართული და ამერიკულ თოქშოუებში შოუს გახსნის სიგნალად გამოიყენება ვიზუალური სიგნალი, შოუს ქუდი და სპეციალური მუსიკა. ორივე ქვეყანაში თოქშოუების სტუდია და ეთერში გასვლის დრო უცვლელია.
- ორივე ენოვან თოქშოუში ფიქსირდება გადაცემის გახსნის ელემენტების თანმიმდევრობის გადაადგილება ან გამოტოვება. ამასთან, ქართულ თოქშოუებში უფრო ხანგრძლივი მონოლოგია, ვიდრე ამერიკულში.
- თოქშოუს იმ ნაწილში სადაც დისკუსია მიმდინარეობს, ამერიკელები ერთმანეთსაც აკრიტიკებენ, მაგრამ საუბარში უფრო მეტად ინარჩუნებენ დიალოგურ მონაცვლეობას (TURN-TAKING) ანუ, იცავენ თავის რიგს. ქართველი პოლიტიკოსები კი ხშირად ერთდროულად საუბრობენ. მათი სამომავლო გეგმების გარჩევა ადვილი არ არის, არ ერიდებიან ოპონენტების კრიტიკას, რაც ხშირად შეურაცხყოფაში გადადის და მათი გამონათქვამები სატელევიზიო სტუდიას ბრძოლის ველადაც აქცევს.
- ქართულ სატელევიზიო სივრცეში ბევრად მეტი პოლიტიკური თოქშოუს წამყვანია ქალი, ვიდრე ამერიკულში.
- თოქშოუებში წამყვანების როლიდან, შესრულებული სამუშაოდან, კითხვების დასმის თუ პროცესის წარმართვიდან გამომდინარე, გამოიკვეთა მათი რამდენიმე ტიპი: წამყვანი - კორესპონდენტი, წამყვანი - იუმორისტი და წამყვანი - მებრძოლი. ზოგიერთი პოლიტი-

კური შოუს წამყვანი ემორჩილება ჟურნალისტიკის ჩვეულებრივ მოდელს, შუამავლობს დებატების მონაწილეებს და უსვამს მათ კითხვებს თავშეკავებულად, სხვები ირჩევენ იუმორისტულ მიდგომას, ისინი იყენებენ იუმორს სერიოზული საკითხების განხილვის საშუალებად. სხვა ტიპის წამყვანები ინფორმაციის მოსაპოვებლად, იყენებენ სტუმრების გამოწვევის აგრესიულ გზას.

ბიბლიოგრაფია:

Vraga, E., Edgerly, S., Bode, L., Carr, J., Bard, M., Johnson, C., Kim, Y., and Shah, D. (2012). *The Correspondent, the Comic, and the Combatant: The Consequences of Host Style in Political Talk Shows*. Journalism & Mass Communication Quarterly.

Clayman, S., & Heritage, J. (2002) *The News Interview: Journalists and Public Figures on the Air.* Cambridge: Cambridge University Press.

Martinez, R. (2000). *Political Interviews, Talk Show Interviews and Debates on British TV: A Contrastive study of the International Organization of three broadcast Genres.* Doctoral Thesis. Satiago Del Compostela University.

Muson, W. (1993). *All Talk: The Talk Show in Media Culture.* Philadelphia, PA: Temple University Press.

განხილული თოქშოუები:

https://www.youtube.com/watch?v=37NTtGQPe4g
https://www.youtube.com/watch?v=5aVqfWKqy7M
https://www.youtube.com/watch?v=5aVqfWKqy7M&t=2482s
https://www.youtube.com/watch?v=6IHyO6CjUlU&t=2058s
https://www.youtube.com/watch?v=aeEl96aqi7U
https://www.youtube.com/watch?v=C5i2hD0u1go
https://www.youtube.com/watch?v=CQj6df8Tp5A
https://www.youtube.com/watch?v=EyFFkAhEeUA
https://www.youtube.com/watch?v=imoAeGMS83g
https://www.youtube.com/watch?v=imrvCGobADU&t=1696s
https://www.youtube.com/watch?v=JDUEzAGoRHY&t=10s
https://www.youtube.com/watch?v=LvzuEXvnzck
https://www.youtube.com/watch?v=NObJuS2CERs
https://www.youtube.com/watch?v=o7YPbv7rCeo
https://www.youtube.com/watch?v=oQO1W78gSpQ
https://www.youtube.com/watch?v=PKk3JMZGs9w
https://www.youtube.com/watch?v=qHw7IYT19No
https://www.youtube.com/watch?v=R22fBvm3NJg&t=237s
https://www.youtube.com/watch?v=taTRrwFe0Dg
https://www.youtube.com/watch?v=vnKz1m3KqPM